

მასტერ კლასი ბუნებისმეტყველებაში:

“ინოვაციური მეთოდების გამოყენება ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე, მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობისთვის”

მასწავლებლის საქმიანობა ეფექტიანია, თუ ის არ კმაყოფილდება მიღწეულით, მუდმივად ეცნობა სიახლეებს საგნის სწავლებაში, მომენტალურად რეაგირებს ცვლილებებზე, ეძებს მოსწავლეთა მოტივირებისა და მათი აკადემიური შედეგების გაუმჯობესების გზებს. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მიმართულებაა შემოქმედებითი აზროვნების განვითარება საგაკვეთილო პროცესში.

საგაკვეთილო პროცესში პრაქტიკული კომპონენტის ნაკლებობას მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა სკოლებში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების არქონით ხსნის, რაც ხშირ შემთხვევაში არაა რეალობას მოკლებული, მაგრამ არსებობს ასევე სხვა მეთოდები რომლებიც ხელს უწყობენ გაკვეთილზე პრაქტიკული აქტივობების სიმულაციას.

საჭიროებიდან გამომდინარე და მოცემული რეალობის გათვალისწინებით გათვალისწინებულ მასტერკლასს ბუნებისმეტყველების მასწავლებლებისათვის

მასტერ კლასის შედეგად:

- მონაწილეები გაეცნობიან ინტერაქციული სწავლების მნიშვნელობას და მის ფართო შესაძლებლობას მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებაში.
- მონაწილეებს საშუალება ექნებათ მოახდინონ საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული აქტივობების სიმულაცია.
- მონაწილეები მიიღებენ რეკომენდაციებს მათთვის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით.

მასტერ კლასის მიზნობრივი ჯგუფი: ბუნებისმეტყველების მოქმედი პედაგოგები.

მასტერ კლასზე მსმენელთა რაოდენობა: 20 მსმენელი.

მასტერ კლასის ხანგრძლივობა: 4 საათი.

